აკაკი წერეთლის
სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01- 04/110 4.11.2020

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ადგილმონაცვლე წევრის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

1.სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე ჩატარდეს აკადემიური საბჭოს ადგილმონაცვლე წევრის არჩევნები

2. არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 25 ნოემბერს 12 საათიდან 16 საათამდე.

3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2020 წლის 12 ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას და ფაკულტეტის დეკანს.
8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.
9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 26 ნოემმბრის ჩათვლით 16 საათამდე.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. რიჩარდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი